



სასამართლო სხდომის ოქმი

24 ოქტომბერი 2012 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: ირაკლი შენგელია, თეა ძიმისტარაშვილი
სხდომის მდივანი: ეკატერინე მაჭარაშვილი

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“

წარმომადგენლები - ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია

წარმომადგენლები - გიორგი ბარქაია, დავით კუხიანიძე

მესამე პირი - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“,

წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება;

სხდომა დაიწყო 12.10 საათზე.

სხდომა დამთავრდა 12.25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ
საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის
შესახებ მოსახსენებლად.

სხდომის მდივანი მოახსენებს, რომ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან
გამოცხადდნენ:

მოწინააღმდეგე მხარე - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლები - ნინო
გუჯარაიძე, ირმა მახათაძე

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია

წარმომადგენლები - გიორგი ბარქაია, დავით კუხიანიძე (წარმოდგენილი
მინდობილობები დაერთო საქმეს)

მესამე პირი - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“,

წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი

არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, წარმომადგენლის უფლებამოსილებას, აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: ირაკლი შენგელია, თეა ძიმისტარაშვილი
სხდომის მდივანი: ეკატერინე მაჭარაშვილი

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, აპელანტის წარმომადგენლებად გამოცხადებულ პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დღევანდელ სასამართლო სხდომისათვის ხარვეზიანია, ვინაიდან საქმეში არსებული მინდობილობებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები ვადაგასულია. რას იტყვით აღნიშნულზე?

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენელი ირმა მახათაძე განმარტავს - თუ მოგვეცემთ დროს, აღნიშნული ჩვენი მხრიდან აღმოფხვრილი იქნება

12.15. საათზე სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

12.20 . საათზე გრძელდება სასამართლო სხდომა

აპელანტ - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლებმა ირმა მახათაძემ და ნინო გუჯარაიძემ წარმოადგენეს ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული რწმუნებულებები, რომელიც დაერთო საქმეს.

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის წარმომადგენელი - დავით კუხიანიძე საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 103-ე მუხლის 13 პუნქტის საფუძველზე შუამდგომლობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფლებამონაცვლედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დადგენის თაობაზე.

სასამართლომ ადგილზე თათბირით

დაადგინა

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია შეიცვალოს მისი უფლებამონაცვლით, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოთი.
2. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელზე (მდებარე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32), თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე ქ.თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ. #7ა) განჩინების გამოცხადებიდან 12 დღის განმავლობაში.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარეები საოქმო განჩინებას არ ასაჩივრებენ.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, წარმოდგენილია მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მამუკა ივანიაშვილის განცხადება, რომითაც შუამდგომლობს სასამართლო სხდომის გადადებას, ვინაიდან გახდა ცუდად (სხდომის თავმჯდომარე ახდენს განცხადების ციტირებას)

მოსამართლის შევითხვაზე, აპელანტი ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლები ირმა მახათაძე და ნინო გუჯარაიძე პასუხობენ – სხდომის გადადების წინააღმდეგნი არ ვართ, ვინაიდან წარმომადგენელი ჩვენს თვალწინ გახდა შეუძლოდ.

მესამე პირი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები - გიორგი ბარქაია, დავით კუხიანიძე – არ ვართ წინაარმდეგი გადაიდო სხდომა.

მესამე პირი - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“-ს წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი – წინააღმდეგი ვართ სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან გვაკისრია ვალდებულებები, ხოლო სასამართლო დავის მიმდინარეობის გამო ხელი გვეშლება საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში, რითაც ზიანი ადგება შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“-ს. ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლად სასამართლო სხდომაზე ყოველთვის მონაწილეობდა ორ-ორი წარმომადგენელი, შესაბამისად შესაძლებელი იყო სხვა პირს განეხორციელებინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სასამართლომ ადგილზე თათბირით
და ა ა დ გ ი ნ ა

1. მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მამუკა ივანიაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. სასამართლო სხდომა გადაიდოს 2012 წლის 07 ნოემბერს 16.00 საათზე.
3. სხდომის დღის შესახებ მხარეებს ეცნობოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სხდომაზე გამოცხადებულ მხარეებს ჩამოერთვათ ხელწერილი სხდომის დღის შესახებ.

მოსამართლე

ნანა ჭიჭილეიშვილი

სხდომის მდივანი:

ეკატერინე მაჭარაშვილი

